

19 სექტემბერი September

12:00

Sergei Redkin / piano

Modest Mussorgsky (1839 –1881)

Pictures at an Exhibition

Promenade

Gnomus (The Gnome)

Promenade

Il vecchio castello (The Old Castle)

Promenade

Tuileries (Dispute d'enfants après jeux) (Tuileries (Children's Quarrel after Games))

Bydło (Cattle)

Promenade

Балет невылупившихся птенцов (Ballet of Unhatched Chicks)

"Samuel" Goldenberg und "Schmuyle" ("Samuel" Goldenberg and "Schmuyle")

Promenade

Limoges. Le marché (La grande nouvelle) (Limoges. The Market (The Great News))

Catacombae (Sepulcrum romanum) (Catacombs (Roman Tomb))

Con mortuis in lingua mortua (With the Dead in a Dead Language)

Избушка на курьих ножках (Баба-Яга) (The Hut on Hen's Legs (Baba Yaga))

Богатырские ворота (В стольном городе во Киеве) (The Bogatyr Gates (In the Capital in Kiev))

Sergei Prokofiev (1891-1953)

Piano Sonata No. 7 in B-flat Major, Op. 83

Allegro inquieto – Andantino - Allegro

Andante caloroso

Precipitato

სერგეი რედკინი / ფორტეპიანო

მოდესტ მუსორგსკი (1839 –1881)

„სურათები გამოფენიდან“

Promenade (გასეირნება)

Gnomus (ჯუჯა)

Promenade (გასეირნება)

Il vecchio castello (ძველი ციხესიმაგრე)

Promenade (გასეირნება)

Tuileries (Dispute d'enfants après jeux) (ტიუილრის ბაღი (ბავშვების ჩხუბი თამაშის შემდეგ))

Bydło (ურემი)

Promenade (გასეირნება)

Балет невылупившихся птенцов (გამოუჩეკავი ბარტყების ბაღეტი)

"Samuel" Goldenberg und "Schmuyle" ("სამუელ" გოლდენბერგი და „შმუილე“)

Promenade (გასეირნება)

Limoges. Le marché (La grande nouvelle) (ლიმოჟი. ბაზრობა (დიდი სიახლე))

Catacombae (Sepulcrum romanum) (კატაკომბები (რომაული სამარხი))

Con mortuis in lingua mortua (მკვდრებთან მკვდრების ენაზე)

Избушка на курьих ножках (Баба-Яга) (ქობი ქათმის ფეხებზე (ბაბა-იაგა))

Богатырские ворота (В стольном городе во Киеве) (გოლიათური კარიბჭე (დედაქალაქ კიევში))

სერგეი პროკოფიევი (1891-1953)

საფორტეპიანო სონატა No. 7 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 83

Allegro inquieto – Andantino - Allegro

Andante caloroso

Precipitato

მოდესტ მუსორგსკი
„სურათები გამოფენიდან“

მუსორგსკიმ შექმნა "სურათები გამოფენიდან" 1874 წლის ივნისში. ერთი წლით ადრე 39 წლის ასაკში ანევრიზმით გარდაიცვალა მისი მეგობარი, რუსი მხატვარი ვიქტორ გარტმანი. მხატვრის გარდაცვალებიდან მალევე გავლენიანმა კრიტიკოსმა ვლადიმერ სტასოვმა მოაწყო მხატვრის ესკიზებისა და სურათების გამოფენა. მუსორგსკი ეწვია გამოფენას და შთაგონებულმა შექმნა საფორტეპიანო თხზულება, რომელიც 10 ძირითად პიესას აერთიანებს. თითოეული მათგანი წარმოადგენს გარტმანის ერთ-ერთ ნახატს ან ნამუშევარს. სათაურები მოცემულია რამდენიმე სხვადასხვა ენაზე: რუსულზე, იტალიურზე, ფრანგულზე, პოლონურზე, იდიშსა და ლათინურზე. პიესებს შორის განმეორებადი "გასეირნება" წარმოგვიდგენს დამთვალეიერებელს - თავად კომპოზიტორს - მოსეირნეს გამოფენაზე. მუსორგსკის სიცოცხლეში "სურათები" არც შესრულებულა და არც გამოქვეყნებულა. 1881 წელს მისი ალკოჰოლიზმისგან გარდაცვალების შემდეგ კომპოზიტორის მეგობარმა და კოლეგამ ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვმა ხელნაწერი გამოსაქვეყნებლად მოამზადა და 1886 წელს გამოსცა იგი. "სურათებმა" ასევე დიდი პოპულარობა მოიპოვა საორკესტრო ვერსიის სახით. განსაკუთრებით ცნობილია ფრანგი კომპოზიტორის მორის რაველის ტრანსკრიფცია, რომელიც 1922 წელს შეიქმნა.

სერგეი პროკოფიევი

საფორტეპიანო სონატა No. 7 სი ბემოლ მაჟორი, თხზ. 83

პროკოფიევმა მეშვიდე სონატაზე მუშაობა დაიწყო 1939 წელს და დაასრულა ის 1942 წელს. ის მეორეა "ომის სონატების" სახელით ცნობილი მეექვსე, მეშვიდე და მერვე სონატების ტრიადაში. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეშვიდე სონატის თემების უმეტესობა დაიწერა უფრო ადრე, ვიდრე გერმანია 1941 წლის 22 ივნისს ხალხისთვის მოულოდნელად ომს გამოუცხადებდა საბჭოთა კავშირს. სონატის დისონანსური მუსიკა აშკარად ასახავს სტალინის რეჟიმის ტერორს. ბედის ირონიით, ომის შუაგულში სონატა დაჯილდოვდა სტალინის პრემიით. სვიატოსლავ რიხტერმა შეასრულა მეშვიდე სონატის პრემიერა 1943 წლის იანვარში მოსკოვში. მოგვიანებით, იხსენებდა რა კონცერტს, პიანისტი წერდა: „მაყურებელმა ნათლად გაიაზრა ნაწარმოების სულისკვეთება, რომელიც ეხმიანებოდა ღრმად დამალულ მათ გრძნობებსა და შფოთს. ამ ნაწარმოებით ჩვენ მთელი სისასტიკით ვეფლობით წონასწორობადაკარგული მსოფლიოს შემაშფოთებლად საშიშ ატმოსფეროში. სუფევს ქაოსი და გაურკვევლობა. ჩვენ თვალწინ თარეშობენ აღვირახსნილი მკვლელი ძალები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის, რითაც მანამდე ვცხოვრობდით, წყვეტს არსებობას. ჩვენ ისევ ვგრძნობთ, ისევ გვიყვარს. სწორედ ახლა იფეთქებს ადამიანური ემოციების მთელი სპექტრი. და ამ უზარმაზარ ბრძოლაში, რომელშიც ვებმებით, ჩვენ ვპოულობთ ძალებს, კიდევ ერთხელ ვუმღეროთ სიცოცხლის შეუქცევად ძალას“.

ამ დროს საქართველოში...

პროკოფიევის მეშვიდე სონატა განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი მსმენელისთვის. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა მუსიკალური კულტურის არაერთი ცნობილი წარმომადგენელი თბილისში იქნა ევაკუირებული. მათ შორის აღმოჩნდა სერგეი პროკოფიევი, რომელმაც საქართველოს დედაქალაქში 1941 წლის 21 ნოემბრიდან 1942 წლის 29 ივნისამდე დაჰყო. როგორც ქართველი მუსიკისმცოდნე გულბათ თორაძე აღნიშნავდა, სწორედ თბილისში დაასრულა პროკოფიევმა თავისი უდიდესი შედევი, მეშვიდე საფორტეპიანო სონატა. თორაძემ ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ 7/8 ზომაში დაწერილ ცნობილ ფინალში, რომელიც ეფუძნება სინკოპირებულ რიტმულ ფორმულას 2+3+2, აირეკლა სპეციფიკური რიტმი ქართული ხალხური ცეკვისა „ხორუმი“, რომელიც პროკოფიევმა, სავარაუდოდ, საქართველოში ყოფნისას იხილა.

Modest Mussorgsky Pictures at an Exhibition

Mussorgsky composed “Pictures from an Exhibition” in June 1874. A year earlier, at the age of 39, his friend the Russian artist Viktor Hartmann died of an aneurysm. Shortly after Hartmann’s death, Vladimir Stassov, the influential critic organised an exhibition of artist’s sketches and paintings. Mussorgsky visited the exhibition and inspired by his experience composed a piano work in 10 movements. Each of them represents one of Hartmann’s drawings or artworks. The titles are given in several different languages: Russian, Italian, French, Polish, Yiddish and Latin. A recurring “Promenade” represents a visitor - the composer himself - wandering through the exhibition. “Pictures” had been neither performed nor published during Mussorgsky’s lifetime. After his death from alcoholism in 1881, his friend and colleague Nikolay Rimsky-Korsakov prepared the manuscript for publication and printed it in 1886. “Pictures” became well known in orchestral form too, particularly in the version arranged by the French composer Maurice Ravel in 1922.

Sergei Prokofiev Piano Sonata No. 7 in B-flat Major, Op. 83

Prokofiev began working on his B-flat Major sonata in 1939 and completed it in 1942. It is second in the triptych of the Sixth, Seventh, and Eighth sonatas that are known as the “War Sonatas”. Though we have to take into consideration that most of the themes of the Seventh sonata had been sketched before Germany launched a surprise attack against the Soviet Union on June 22, 1941. The dissonant music of the Sonata definitely reflects the terror of Stalin’s regime. It is ironic, that after the outbreak of the war the Sonata received the Stalin Prize. Sviatoslav Richter premiered the Seventh Sonata in Moscow in January 1943. Later recalling the first performance he wrote: “The audience clearly grasped the spirit of the work which reflected their innermost feelings and concerns. With this work, we are brutally plunged into the anxiously threatening atmosphere of a world that has lost its balance. Chaos and uncertainty reign. We see murderous forces unleashed. But this does not mean that what we lived by before thereby ceases to exist. We continue to feel and to love. Now the full range of human emotions bursts forth. In the tremendous struggle that this involves, we find the strength to affirm the irrepressible life-force.”

Meanwhile in Georgia

Prokofiev’s Sonata No. 7 has a special importance for Georgian listeners. During World War II many prominent representatives of the Soviet art scene were evacuated to Tbilisi. Among them was Sergei Prokofiev who stayed from November 21, 1941 until June 29, 1942. As the Georgian musicologist Gulbat Toradze wrote, it was here in Tbilisi that Prokofiev completed his great masterpiece - the Seventh Piano Sonata. Toradze also suggested that the famous final movement prickling with syncopations, written in 7/8 meter that has to be counted as 2+3+2 beats per measure alludes to the specific rhythm of the Georgian folk dance Khorumi that Prokofiev might have seen during his stay in the capital of Georgia.